ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**g-97.97222032**

თარიღი:**22/07/2022**

ზაფხულის თვეებში დაბა ლენტეხში, თამარ მეფის ქუჩის გარკვეული მონაკვეთის დროებით ჩაკეტვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. 2022 წლის ივლის-აგვისტოს თვეებში დაბა ლენტეხში ავტომობილების რიცხვის მატების გამო, ვიზიტორების და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ჩაიკეტოს ავტოტრანსპორტის მოძრაობა თამარ მეფის ქუჩის გარკვეულ მონაკვეთზე, კერძოდ გზაჯვარედინიდან(N5) კულტურის სახლის ჩასახვევამდე (N21) საღამოს 8 საათიდან ღამის 2 საათამდე.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ლენტეხის რაიონულ სამმართველოს.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი